

# ხალგაზრდა ვეროელი


სამშაბათი  
28  
აგვისტო  
№ 92 (11578)  
1990

საქართველოს  
1921 წლიდან

საზოგადოებრივი-პოლიტიკური გაზეთი

საქართველოს  
საზოგადოებრივი-პოლიტიკური გაზეთი

## დღეს მარიამობაა



დღეს მარიამობაა, საქართველოს მფარველის მარიამ ღვთისმშობლის მიძინების (გარდაცვალების) დღესასწაული. სახარებაში მოთხრობილია იოსების მეუღლე მარიამის ცხოვრება, რომელმაც უბიწოდ შვა იესო ქრისტე. ამიტომაც ქრისტიანულ მოძღვრებაში მარიამ ღვთისმშობელი მარად ქალწულ წმინდანადაა შერაცხული. საქართველოში შრავალი ეკლესია-მონასტერია მარიამ ღვთისმშობლის სახელობისა. ხოლო ქართველები უხსოვარი დროიდან ვდღესასწაულობთ მარიამობას, როგორც უმშვენიერეს ქრისტიანულ დღესასწაულს. წლებადღელ მარიამობას კიდევ უფრო მეტ მადლს მოჰყენს საქართველოში ჩამოსვენებული კარბუკის ღვთისმშობლის ხატი, უძლიერესი და სასწაულთმოქმედი. მარიამ ღვთისმშობელმა დაიფაროს მისი წილხვედრი ქვეყანა — საქართველო. ამინ!

## ქართულ არქიტექტორთა ნაშრომები


მიმდინარე წლის ივლისში ქ. კიევიში მოეწყო არქიტექტურული ნაშრომების საკავშირო მე-14 დათვალიერება-კონკურსი: „წლის საუკეთესო პროექტი და ნაგებობა“. მის კომპეტენტურ ფიურის, რომლის შემადგენლობაშიც იყო არქიტექტორი ალექს კორკობაშვილი, ხელმძღვანელობდა სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის მდივანი იური გუნდოვსკი. კონკურსში მონაწილეობდა ქართველ არქიტექტორთა ნამუშევრებიც. სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის მედალი, დიპლომი და,

ფულადი პრემია (1500 მანეთი) მიენიჭა ვახტანგ დავითაიასა და ნიკა შავეიშვილის პროექტს „180-ადგილიანი სასტუმრო თბილისში“. სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის დიპლომი ავტორთა კოლექტივისათვის ერთ-ერთ რესპუბლიკაში შემოქმედებითი მივლინებით მიენიჭა ქ. მაჩაიძისა და ქ. ჩხეიძის პროექტს „280-ადგილიანი საბავშვო ბაღი გაგრაში“ და პროექტს „თბილისის გორგასლის მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანება“, რომლის ავტორთა ჯგუფში შედიან: ბ. ბათიაშვილი,

ვ. ფსუტური, თ. მაკასარაშვილი, ა. ყრუაშვილი, კ. ტაბიძე. წამახალისებელი სპეციალური დიპლომით აღინიშნა არქიტექტორების თ. ცანავას, მ. ლაითაძის, რ. მარგალიტაძის ნამუშევარი „დასვენებისა და აზროვნების ცენტრი ქ. ზუგდიდში“.

საპინფორმი

სურათზე: გორგასლის მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების პროექტის ფრაგმენტი.



## პარლამენტის ინფორმაცია აფხაზეთში მიმდინარე პოპულაციის შესახებ

როგორც იცით, აფხაზეთის ახსრ უზენაესი საბჭოს ხესიის ამა წლის 25 აგვისტოს ტენდენციურმა, ცალმხრივმა გადაწყვეტილებამ სრულიად ბუნებრივად და სამართლიანად დიდი აუიოტაჟი გამოიწვია. საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა ოპერატიულად მისცა ობიექტური შეფასება მომხდარს. თავის სატელევიზიო გამოსვლაში რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ბატონმა გივი გუმბარიძემ ეს ფაქტი შეაფასა როგორც ქართველი და აფხაზი ხალხების, საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხის ინტერესების იგნორირება. საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა ბათილად სცნო აფხაზეთის ახსრ უზენაესი საბჭოს ამა წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილება. მართალია, მომხდარი ფაქტი შეფასდა ობიექტურად, სამართლიანად, მაგრამ ჩნდება უამრავი კითხვა — რატომ მოხდა ეს? რა ძალები უწყობენ ხელს სიტუაციის დესტაბილიზაციას? ვინ ჯდას ამის უკან? ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა შაბათ-კვირას სოხუმში, ჩვენი თხოვნით ტელეფონით გადმოგვცეს გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ რედაქტორის მოადგილემ ნოდარ შიძაძემ და გაზეთის კორესპონდენტმა გონა ბაბინამ:

ნოდარ შიძაძე — მთელი აფხაზეთის ქართველობა შეძრა ამ ფაქტმა. შეშფოთებული და აღშფოთებული ხალხი დარწმუნებულია, რომ ყველაფერი ეს სპეციალურად გაკეთდა მოახლოებული მრავალპარტიული დემოკრატიული წინასაარჩევნო კამპანიის წინ. ჩემი აზრით, აფხაზეთის ახსრ უზენაესი საბჭოს ხესიის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ორივე ხალხის ინტერესებს, ხელს უწყობს სიტუაციის გამწვავებას და სრულ ქაოსს. აფხაზეთში ახლა შედარებით ნიმშივლია, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად. შინაგანი დაძაბულობა მაინც იგრძნობა.

ხესიის გადაწყვეტილება არ იყო კეშმარტი, დემოკრატიული, პარლამენტური განხილვის შედეგი. იგი მხოლოდ ცალმხრივად გაკეთდა. სენია, ალბათ, ახლაც ჩაიშლებოდა, როგორც ეს წინა თვეში მოხდა, სენიაზე ორი დეპუტატი — ერთგნებით რუსი ნინა კუნეცოვა და აფხაზი აზიზ აგრაბა—ავადმყოფნი ძალით რომ არ მიეყვანათ. სხვა რომც არაფერი ვთქვათ, ხესიის გადაწყვეტილების ობიექტურობაზე მართლ ამ ფაქტითაც ბევრი რამის თქმა შეიძლება.

გონა ბაბინა — ზასულ შაბათს საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრავალი მაგიდის ცხუმ-აფხაზეთის რეგიონალური განყოფილების ინიციატივით მოეწყო გამაფრთხილებელი გაფიცვა სოხუმის ხალკომოტივო დეპოში, კვირას კი ხალხმრავალი მიტინგი ჩატარდა კონსტიტუციის მოედანზე. მიღებულ იქნა რამდენიმე მნიშვნელოვანი პუნქტისაგან შემდგარი რეზოლუცია. მთავარი იყო შემდეგი პუნქტი — მისცემოდა სამართლებრივ-პოლიტიკური შეფასება მომხდარ ფაქტს საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ. იყო სხვა მოთხოვნები, რომლებიც მთლიანად ჩვენთან გამოკვეყნდება.

კვირას, მას შემდეგ, რაც საქართველოს ტელევიზიით გამოვიდა ბატონი გივი გუმბარიძე და ცნობილი გახდა საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება, ხალხი შედარებით დამშვიდდა და გაფიცვა შეწყდა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რეზოლუციის ყველა მოთხოვნა შეჩერულა. ამისათვის კიდევ ბევრი მუშაობა იქნება საქირი.

საკუთარი ინფორმაცია

## სახალხო პრტიანობის პარტიის კონფერენცია

გაიმართა საქართველოს სახალხო პრტიანობის პარტიის მშრომელთა კავშირის მეორე (რიგგარეშე) კონფერენცია, რომელმაც განიხილა და დაამტკიცა ცვლილებანი პარტიის პროგრამისა და წესდებებში, აირჩია პარტიის პოლიტიკური საბჭოს შემადგენლობა. პარტიის სპიკერად არჩეულია ზაზა ხიხარულიძე — სრულიად საქართველოს ღვთისმშობელთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაციის) პრეზიდენტი, პოლიტიკურ მდივანდ — გი-

ორგი ძნელაძე — საქართველოს ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტული ფედერაციის პრეზიდენტი. შეიცვალა პარტიის სახელწოდება: ამიერიდან იგი იწოდება, როგორც „საქართველოს სახალხო პარტია“ (სსპ). გადაწყდა, რომ სახალხო პარტია მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ეროვნული კონგრესისა და უზენაესი საბჭოს არჩევნებში.

საპინფორმი



ადგილზე. გარდაბნის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა სამოსახლო მიწის ნაკვეთი გამოუყოფს მოქ. ნ. ჯაფარიძეს და არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მისი მამა ფლობდა 0,22 ჰექტარ მიწას, ე. ი. ქალაქისათვის დადგენილ ნორმაზე თითქმის ოთხჯერ მეტს. ანალოგიური დარღვევებით გამოეყოთ სამოსახლო მიწის ნაკვეთები ე. ალიევს, ს. გუსეინოვს და 30-მდე სხვა მოქალაქეს. იმავე ქ. გარდაბანში აღრიცხულია უნებართვო ან პროექტისაგან არსებითი გადახდით წარმოებული ბინათმშენებლობის 60-ზე მეტი შემთხვევა, რაც სათანადო რეგულირების გარეშე დაზარალებულია.

მიწისადმი უყიარაო დამოკიდებულების თვალსაჩინო მაგალითია ისიც, რომ ქ. გარდაბანში, თბილისის "მიმდებარე ტერიტორიაზე 4 ჰექტარზე მეტი ფართობია დაკავებული უნებართვოდ

მიეღოთ ზომები მიტაცებული მიწების დასაბრუნებლად და უკანონო მშენებლობათა აღმოსაფხვრელად. მაგრამ შემოწმებამ გვიჩვენა, რომ დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლა მოჩვენებით ხასიათს ატარებს და არ ზორციელდება ჯეროვანი პრაქტიკული ღონისძიებები მდგომარეობის გამოსწორებლად. დატაცებული მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოიყენეს და... კვლავ მოძალადეებს გაუპიროვნეს ხელშეკრულებით, ბევრი მათგანი დღემდე აგრძელებს მიტაცებული მიწებით სარგებლობას ყოველგვარი ხელშეკრულების გარეშე. რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით დანგრეულია მხოლოდ 9 საცხოვრებელი სახლი და 23 უნებართვო სამეურნეო ნაგებობა, საქართველოს სსრ საქალაქო სამართლის კოდექსის 107-ე მუხლის საფუძველზე რაიკომსკომს სახალხო სამართალში არ აღუძრავს არც

იაღმასკომი დანაპირების შესრულებით თავს არ იწუხებს.

ცნობილია, რომ გარდაბნის რაიონში მიწების მიტაცება და უკანონო ბინათმშენებლობა ერთი-ორი დღის განმავლობაში არ ხდებოდა, ამ მაჩვენებელზე მოვლენებმა დიდი ხანია ღრმად გაიღმა ფესვები. რაიონის ხელმძღვანელებს დროულად რომ აღეკვეთათ უკანონობა, მკაცრად მოეთხოვათ პასუხი დარღვევებისათვის თანამდებობის პირთათვის, ბუნებრივია, რომ ამგვარი საჯარო მდგომარეობა არ შეიქმნებოდა, რასაც დამანისის რაიონის ხელმძღვანელთა მიერ ამ საკითხისადმი დამოკიდებულებაც ადასტურებს. გარდაბანში მეცხეურებმა კი განუვადგომა არჩიეს და "თვალს დახუჭეს" რაიონში გავრცელებულ ნეგატიურ მოვლენებზე.

მეთიხველი იფიქრებს, რომ ახლა მაინც, როდესაც გარდაბნის რაიონში გამეფებულ სამართალდარღვევებზე მთელმა რესპუბლიკამ შეიტყო, სათანადოდ მიუზღვიდნენ ყველა თანამდებობის პირს, ვინც თავისი პასუხისმგებლობა და გულგრილობით ხელი შეუწყო მიწის კანონმდებლობისა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის წესების უხეშ დარღვევებში. მართალია, ზოგი მათგანი გაათავისუფლეს სამუშაოდან, მაგრამ რიგობა მაინც ვერ აკადრეს და კვლავ ხელმძღვანელ პოსტებზე დანიშნეს, ნაწილი კვლავაც თავის თანამდებობაზე მუშაობს; ხოლო ბევრი დაწინაურდა კიდევც...

რაისაბჭოს აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე ტ. ველიცვი, რაიონის საქალაქო მეურნეობას ხელმძღვანელობს, მისი წინამორბედი ა. დაშდამიროვი № 10 პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორია, ხოლო საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. ნოვრუხოვი რაიკომის პარტიული კონტროლის კომისიას ხელმძღვანელობს.

მხოლოდ საყვედური აკმარებს

დობრები მეურნეობები და მიწათმოქმედების სამსახური. მასაც, როგორც რაიონის სხვა ხელმძღვანელებს უშუალო პასუხისმგებლობა ეკისრება მიწათსარგებლობაში არსებული დარღვევებისათვის, მაგრამ დაუსი ნაცვლად ც. ლ. მოსიძე რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მოგვევლინა, დარგის კურატორი — პარტიის რაიკომის მეთაური მ. მარგველაშვილი "თბილისკომპრეფის" თავმჯდომარის მოადგილეა, ხოლო თვით რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი ი. ბოკერიძე დღეს ერთ-ერთ უმსხვილეს რესპუბლიკურ გაერთიანებას "საქსოფტშიმპის" ხელმძღვანელობს!

ჩვენი პოზიცია ასეთია, რომ არც ერთი თანამდებობის პირი, რომელსაც ხელი ურევია ქართული მიწების უმოწყალო დანაივებასა და სამართალდარღვევებისადმი გულგრილ დამოკიდებულებაში არ უნდა იქნეს დატყვევებული თანამდებობაზე და შეაღებოს უნდა დაიხაჯოს.

სამართალდარღვევათა წინააღმდეგ რა ბრძოლაზე შეიძლება საუბარი, როდესაც პარტიის რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი ი. ბ. ბოკერიძე სოფელ აქთაქლიაში გამართულ ერთ-ერთ შეკრებაზე, რომელიც მიწათსარგებლობის წესების დარღვევებს ეძღვნებოდა, მითითება მისცა რაიონის პროკურატურისა და შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებს, რათა შეეწყვიტათ შემოწმებები და გამოძიებები წარმოება უკანონო ბინათმშენებლობისა და მიწის მიტაცების ფაქტებთან დაკავშირებით.

რაიკომის პირველი მდივნის მუშაობის ამგვარი სტილი, ნაკლოვანებების დაფარვისა და მოჩვენებითი კეთილდღეობის სურათის შექმნის მცდელობა "ახალი ხილი" როდია. 1987-88 წლებში რაიონისა და რესპუბლიკის პროკურატურის მიერ ჩატარებული შემოწმებებით გარდაბნის რაიონის თითქმის ყვე-

ბიუროს სხდომაზე და, ალბათ "ურჩობისათვის", მკაცრად დასაჯა რაიონის ახლადდანიშნული პროკურორი, სხენებული შემოწმების ინიციატივი და მისი აქტიური მონაწილე.

საქართველოს სსრ პროკურატურა სისტემატურად ამოწმებს რესპუბლიკაში მიწის კანონმდებლობის, ინდინათმშენებლობის წესებისა და საპასპორტო რეგიმის დაცვის მდგომარეობას. შემოწმებათა ახალიზი ცხადყოფს, რომ ამ სფეროში არსებული დარღვევები მნიშვნელოვნად განპირობებულია რაიონული თუ სასოფლო საბჭოების აღმასკომებისა და საზოგადოებრივი მეურნეობათა ხელმძღვანელთა კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებებით საქარშიდამო მიწის ნაკვეთების გამოყოფის, ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის ნებართვის გაცემისა და მოქალაქეთა ჩაწერის შესახებ.

ზემოთაღნიშნულის აღმოფხვრისა და თავიდან აცილების მიზნით, რესპუბლიკის პროკურატურამ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე დასვა რიგი წინადადებები, რათა აღვიღოთ რიგი საბჭოების აღმასკომებს ჩამორთმეოდან მინისტრთა საბჭოს გარეშე მოქალაქეთა ჩაწერის უფლება, აფხაზეთის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ა/ო, გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, მცხეთის და სხვა რაიონებში აკრძალულიყო საქარშიდამო მიწის ნაკვეთების გამოყოფა, გარდა სტიქიით დაზარალებულთათვის, ოჯახის გაყოფისას მიწის ნაკვეთი გაცემულიყო ძირითადი კომლის ნაკვეთის ხარჯზე ან დადებითად გადაწყვეტილიყო მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის საკითხი, აგრეთვე მიღებული ყოფილიყო სპეციალური დადგენილება ამ რაიონებში მოსახლეობის მექანიკური ზრდის რეგულირების ღონისძიებათა შესახებ და სხვა:

## ჩვენი საჭირისაკოვლო



# ერის სამსჯავროსზე

აგებული 100-ზე მეტი ავტოფარეხით, რომელთა აღებისა და ტერიტორიის დანიშნულებისამებრ გამოყენების საკითხი რაისაბჭოს აღმასკომის მიერ წლების მანძილზე არ გადაწყვეტილა (კურატორი — აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე გ. ფირცხალაიშვილი).

ყველაზე სავალაო ის არის, რომ გასული ათი-თხუთმეტი წლის მანძილზე რაიონის ბლომად მოაწევა ხიხნები მეზობელი რესპუბლიკებიდან, რომლებიც ოჯახებთან და მოდიოდნენ და აქ სამუდამოდ დაემკვიდრდნენ. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაამწვავა ისედაც რთული დემოგრაფიული ვითარება. მოქალაქეთა ჩაწერის საკითხზე გარდაბნისა და რესპუბლიკის სხვა რაიონებში წყდება სასოფლო საბჭოს აღმასკომებისა და მათი ხელმძღვანელების პირადი შეხედულებებისამებრ, რაც ყოველგვარ კონტროლსა მოკლებული რაისაბჭოს აღმასკომებისა და შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილებების მხრიდან. გარდაბნის რაიონში ადვილად იპოვა მუდმივი თავშესაფარი თურქმა მოლამ მანამაც აკიბოვმა თავისი თერთმეტსულიანი ოჯახით. ულიანოვის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა არასწორად ჩაწერა აგრეთვე აზერბაიჯანის სსრ კახანის რაიონიდან ჩამოსული ბ. ანგელოვის ხუთსულიანი ოჯახი, ასეთი ფაქტები არც თუ იშვიათია.

რაიონში მიწის კანონმდებლობისა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის წესების დარღვევის საკითხი ჯერ კიდევ გასულ წელს განიხილა რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიამ და მინისტრთა საბჭომ. რაიონის საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს მიეთითათ,

ერთი სარჩელი თვითნებურად აშენებული სახლებიდან მოქალაქეთა გამოსახლების შესახებ.

1989-90 წლებში გარდაბნის რაიონის სახალხო სამართლის განაჩენით კონფისცირებულია 40-ზე მეტი თვითნებურად აშენებული საცხოვრებელი სახლი, მაგრამ მოსამართლეთა და აღმასრულებელთა მოუქნელი მუშაობის შედეგად განაჩენთა რეალური აღსრულება არ ხდება და ამ სახლებში კვლავ განაგრძობენ ცხოვრებას ბინების უკანონო ამშენებელი მოქალაქეები და მათი ოჯახის წევრები.

კანონიერების უხეშ დარღვევებისადმი ასეთი შემრავებული პოზიცია უარყოფით გავლენას ახდენს მიწათსარგებლობისა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის სფეროში არსებული მძიმე მდგომარეობის გამოსწორებაზე, ქმნის შეწყინარებლობისა და კანონსაღმი უპატივცემულობის ატმოსფეროს, რითაც ხელს უწყობს ახალ სამართალდარღვევებს.

რაიონის ხელმძღვანელები ცდილობენ ამ უარყოფით მოვლენას რაიმე გამართლება მოუხანონ. რესპუბლიკის პროკურატურისადმი მიმდინარე წლის 30 იანვარს გამოგზავნილი წერილით გარდაბნის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომი შინაგანევი ტონით გვაცნობებს, რომ "უკანონოდ აშენებული სახლებიდან მოქალაქეთა გამოსახლება და შენობა-ნაგებობათა დანგრევა გადადებულია რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობის გამო დროებით და მისი განხორციელება მოხდება ზამთრის პერიოდის ვაკლის შემდეგ". რა გამართლებაა ეს? ისე, ზამთრის პერიოდში კარგა ხანია გავიდა, მაგრამ რა

და უწინდელ თანამდებობებზე განაგრძობენ მუშაობას ნაზარლოსა და კახანის საბჭოთა მეურნეობების დირექტორები ა. საღიკოვი და ვ. გამბაროვი, რაიონის მთავარი მიწათმოქმედები ნ. ბულისკერია, მთავარი არქიტექტორი ნ. ქავეთაია და სხვები.

ქარბი მუშახლის ზონაში რაისაბჭოს აღმასკომის კომისიის გარეშე რესპუბლიკის ფარგლებს გარედან შემოსული მოქალაქეების ჩაწერისათვის, პარტიის გარდაბნის რაიკომის ბიურომ სასტიკი საყვედური გამოუცხადა ულიანოვის სასოფლო საბჭოს აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარეს ბ. კალანდაძეს, თუმცა მხედველობიდან გაორჩათ" რომ ბ. კალანდაძემ პარტიკომის ინსტრუქტორია.

რაიკომის ბიურომ ცნობად მიიღო, რომ სართიკომის მეგობრებისა და საბჭოთა მეურნეობის ყოფილი დირექტორი გ. მუხიაშვილი მიწათსარგებლობაში დამკვიდრებული დარღვევებისათვის განთავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან და გამოცხადებული აქვს სასტიკი საყვედური საადრიცხო ბარათში შეტანით. საინტერესოა, რატომ არ მიიღო ბიურომ "ცნობად" ის ფაქტი, რომ მეურნეობის დირექტორის თანამდებობიდან განთავისუფლების შემდეგ გ. მუხიაშვილი მანქანატრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლუატაციის საწარმოს მთავარ ინჟინრად გადაიყვანეს, ხოლო შემდეგ კი საწარმოს დირექტორად დააწინაურეს.

წლების მანძილზე აგროსამრეწველო კომბინატ "გარდაბანს" ხელმძღვანელობდა ც. ლ. მოსიძე, რომლის უშუალო დაქვემდებარებაშიც შედიოდა რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობები და მიწათმოქმედების სამსახური. მასაც, როგორც რაიონის სხვა ხელმძღვანელებს უშუალო პასუხისმგებლობა ეკისრება მიწათსარგებლობაში არსებული დარღვევებისათვის, მაგრამ დაუსი ნაცვლად ც. ლ. მოსიძე რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მოგვევლინა, დარგის კურატორი — პარტიის რაიკომის მეთაური მ. მარგველაშვილი "თბილისკომპრეფის" თავმჯდომარის მოადგილეა, ხოლო თვით რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი ი. ბოკერიძე დღეს ერთ-ერთ უმსხვილეს რესპუბლიკურ გაერთიანებას "საქსოფტშიმპის" ხელმძღვანელობს!

ჩვენი პოზიცია ასეთია, რომ არც ერთი თანამდებობის პირი, რომელსაც ხელი ურევია ქართული მიწების უმოწყალო დანაივებასა და სამართალდარღვევებისადმი გულგრილ დამოკიდებულებაში არ უნდა იქნეს დატყვევებული თანამდებობაზე და შეაღებოს უნდა დაიხაჯოს.

სამართალდარღვევათა წინააღმდეგ რა ბრძოლაზე შეიძლება საუბარი, როდესაც პარტიის რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი ი. ბ. ბოკერიძე სოფელ აქთაქლიაში გამართულ ერთ-ერთ შეკრებაზე, რომელიც მიწათსარგებლობის წესების დარღვევებს ეძღვნებოდა, მითითება მისცა რაიონის პროკურატურისა და შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებს, რათა შეეწყვიტათ შემოწმებები და გამოძიებები წარმოება უკანონო ბინათმშენებლობისა და მიწის მიტაცების ფაქტებთან დაკავშირებით.

რაიკომის პირველი მდივნის მუშაობის ამგვარი სტილი, ნაკლოვანებების დაფარვისა და მოჩვენებითი კეთილდღეობის სურათის შექმნის მცდელობა "ახალი ხილი" როდია. 1987-88 წლებში რაიონისა და რესპუბლიკის პროკურატურის მიერ ჩატარებული შემოწმებებით გარდაბნის რაიონის თითქმის ყვე-

ლა ძირითად სამეურნეო, სამშენებლო და სამრეწველო საწარმოში გამოვლინდა სოციალისტური საკუთრების დატაცების, მიწების, უხარისხო პროდუქციის გამოშვების და სიყალბეთა მრავალი ფაქტები. ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, დამზადების, ადგილობრივი მრეწველობისა და სხვა ობიექტებში ხელმძღვანელ და მატერიალურად საპასუხისმგებლო თანამდებობებზე არც თუ იშვიათად ინიშნებოდნენ კორუმიტირებული, ანგარებითი დაწაულითათვის ნასამართლები და ადრე მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისათვის სამუშაოდ დათხოვნილი პირები. რაიკომის ხელმძღვანელთა პირადი შეხედულებისამებრ, რიგობის დაუცვლად ნაწილდებოდა ბინები, მსუბუქი ავტომანქანები, იმპორტული ავტოები და სხვა დეფიციტური საქონელი, რაც მშრომელთა სამართლიან აღშფოთებას იწვევდა.

შემოწმების პროცესში ნაცვლად იმისა, რომ მიეღო ზომები უკანონობათა აღსაკეთოდ და სამუშაოდან გაეთავისუფლებინა დარღვევებისათვის პასუხისმგებელი თანამდებობის პირები, შეეწყო ხელი შემოწმების სრულად და ობიექტურად ჩატარებისათვის, რაიკომის პირველი მდივანი ი. ბ. ბოკერიძე გასცა განკარგულება რომ საწარმოთა ხელმძღვანელებს არ წარედგინათ დოკუმენტები რესპუბლიკის პროკურატურის წარმომადგენელთათვის, ხოლო როდესაც შემოწმება მაინც გაგრძელდა და კანონიერების არაერთი უხეშ დარღვევა გამოვლინდა, რაიკომის მდივანმა თითქმის ერთი წლის მანძილზე გააპიანურა ჩვენი ინფორმაციის განხილვა, მიგვიწვია

ამ საკითხების დადებითად გადაწყვეტა დიდად შეუწყობს ხელს მიწათსარგებლობის, ინდინათმშენებლობისა და საპასპორტო რეგიმის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობას.

კანონიერების უხეშ დარღვევებთან დაკავშირებით გარდაბნის რაიონში პროკურატურის მიერ აღიძრა სისხლის სამართლის საქმეები, სარჩელები იქნა შეტანილი სახალხო სამართალში უნებართვოდ აგებული სახლები მცხეთის 50-მდე პირის გამოსახლების შესახებ. წარდგინდა იქნა შეტანილი სახალხო დეპუტატთა გარდაბნის რაისაბჭოს აღმასკომში, გარდაბნის სამართალდარღვევების სხვა ღონისძიებები.

რესპუბლიკის პროკურატურა კვლავაც გააგრძელებს შეუწყობილ ბრძოლას ზემოთაღნიშნულ სამართალდარღვევათა წინააღმდეგ, რათა არ განმეორდეს ის განუკითხობა, რომელსაც არა მარტო გარდაბნის რაიონში ჰქონდა ადგილი. მიწა ჩვენი ერთგული სიმდიდრეა, იგი საქართველოს ყველაზე ძვირფასი განძია, მას თავისიჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ და მოვუაროთ.

**თინათინ მანარაძე,**  
რესპუბლიკის პროკურატურის სამეურნეო საქმიანობის და ბუნების დაცვის შესახებ კანონების შესრულებაზე შედამხედველობის სამმართველოს უფროსი, თბილისის უფროსი მრჩეველი.

**ბაბა კობახიძე,**  
ამავე სამმართველოს პროკურორი.





„თუ წარსულში რაიმე ნაკლი გვქონდა, ამას დამალვა კი არა, გამოვლადგინება უნდა: მხოლოდ იმას, ვინც თავის ნაკლს შეიგნებს, შეუძლია იგი თავიდან მოიშოროს“.

**0. ჯავახიშვილი**

„სახალხო განთლებაში“ გამოქვეყნებული ჩემი სტატიის „აფხაზეთი და დასავლეთი საქართველო ენობრივ მონაცემთა მიხედვით“ საწინააღმდეგოდ „ახალგაზრდა კომუნისტი“ (13. II) დაიბეჭდა კ. ჯავახიშვილის წერილი „როგორ ვიზრუნოთ სიბერისთვის“. ვინაობით, ვინ როგორ იბრძვის!

ორი სხვადასხვა პრინციპით, ერთი მხრივ, ქართველურ და მისი კავკასიურ (მათ შორის აფხაზურ-ადიღურ) ენათა ნათესაობისა და მეორე მხრივ, ქართველურ ენებში აფხაზურ-ადიღურ ენათა ელემენტების არსებობა-არარსებობისა. რადგანაც ენობრივ ერთეულთა სესხება ჩვეულებრივია, როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენებს შორის, ამიტომ ამ ორ პრინციპს კვლევის მეთოდებიც სხვადასხვაგვარი აქვს და ლინგვისტური დასაბუთებაც. სწორედ ამიტომ ს. ჯანაშიას და ა. ჩიქობავას მეორე პრინციპს წყვეტდნენ ენათა კონტაქტებიდან, და არა ნათესაობიდან, ამოსვლით. ჩემს სტატიაშიც ეს შეხედულებები იმ სახით იქნა განხილული, რა სახითაც ისინი ავტორებმა ჩამოაყალიბეს. არც ენათა ნათესაობის პრინციპი და არც ი. ჯავახიშვილის სახელი ამ სტატიაში არ არის ნახსენები არც ერთხელ. ლინგვისტური ანალიზის ანბანის უცოდინარობაა. ამიტომ, როდესაც რეცენზენტი ამ ორი პრინციპის გაერთიანებას მოითხოვს და დაუფარავი პროვოკაცია, როდესაც ამის საფუძველზე ა. ონიანის ი. ჯავახიშვილის დაპირისპირებას ცდილობს; ცდილობს არა უბრალოდ, არამედ მისი „მოსკოვის ანტიქართული ძაღლებს“ რიგში ჩაყენების გზით; ძაღლებსა, რომელთაც რეცენზენტის თქმით; „მიუთავიფე... მიუღებლად ჩათვალეს იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის კონცეფცია“. ის ფაქტი კი უგულებელყოფილია მთლიანად, რომ ეს კონცეფცია ამ სხილთან არ გაიზიარეს არც ქართველოლოგიის ისეთმა გამოჩენილმა წარმომადგენლებმა, როგორც არაბ. ა. მანიძე, გ. ახვლედიანი, გ. დეიტარსი, ვ. ფოვტი, გ. წერეთელი, გ. მელიქიშვილი, თ. გამყრელიძე, გ. მაკუჯარაიანი, კ. შშიდტი, გ. კლიმოვი და მრავალი სხვა. ბატონო რეცენზენტიც, ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი თქვენ არ იცოდით? მაგრამ იცოდით, თუ არ იცოდით, მეცნიერების ეს სახელგანთქმული წარმომადგენლებიც „ანტიქართულ ძაღლებში“ გაგაერთიანეთ და ი. ჯავახიშვილს დაუპირისპირათ?

ჩემს სტატიაში (არც რომელიმე სხვა შრომაში) ქართველური ტომების მიგრაციის საკითხები არ განიხილება, ამიტომ აქ ამ საკითხებთან ს. ჯანაშიასა და ა. ჩიქობავას დამოკიდებულებების შესახებ, რაღა თქმა უნდა, არ არის ნათქვამი არც ერთი სიტყვა. მოვუსმინოთ ახლა ამ ფონზე რეცენზენტს: „მთავარი ბრალდება კი, რასაც ალ. ონიანი უყენებს არბ. ჩიქობავასა და ს. ჯანაშიას, ის არის, რომ ქართველი მეცნიერები, როგორც ბედავენ და — ქართველი ტომების მიგრაციის აზრს უქვეყნებდნენ მხარს (სტილი, ცხადია, ავტორისაა — ა. ო.). სამხრეთიდან ქართველური ტომების მიგრაციის ჰიპოთეზაც ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის და ამ ბრალდებაში ალ. ონიანი დიდი მეცნიერის წინააღმდეგ გამოდის უპირველესად; თუმცა, როგორც ჩანს, შეგნებულად არ არის მოხსენიებული მის წერილში ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელი — ყველა, ყველა და ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობას, აბა, რომელი უკუთმყოფელი ქართველი დაიჭირობდა... არც ერთ ისტორიკოსს აზრადაკი არ მოსვლია დიდი ივანეს ავტორივად შეურაცხყოფა“ (ხაზი ყველგან ჩემია — ა. ო.).

თავზარდამცემი პროვოკაცია! სიყალბეზე დაწყობილი ამ პროვოკაციის მიზანი სხვა არაფერია, თუ არა დიდი ივანეს კეთილსახელს უსაფუძვლოდ ამოფარება და უურადლების ძირითად პრინციპსთან დაუკავშირებელ საკითხებზე გადატანა. ამ უკადრის მოქმედებას კი, თავაშვებულ ტენდენციურობას

სთან ერთად, უცილობდა უღრეს საფუძვლად. ვინაობით, როგორია ვითარება ფაქტობრივ. ჯერ გ. მელიქიშვილის მოვუსმინოთ: „ს. ჯანაშიამ ფაქტობრივად მოხსნა თვალსაზრისი ქართველთა გადმოსახლების შესახებ“, „ს. ჯანაშიას კონცეფციაში აღიარა ლაპარაკი რაიმე ვადსახლებათა შესახებ და ფაქტობრივად ძველთაგანვე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი ტომების ადგილობრივი განვითარებაა ნაგულისხმევი.“ („საქართველოს ისტორიის საკითხები“, 1, 1970, გვ. 325-327). თვითონ გ. მელიქიშვილის დასკვნა ასეთია: „...ქართველი ტომები უძველეს დროიდან ცხოვრობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე...“ (იქვე, გვ. 341-342); გ. ჩიქობავა კი წერს: „შემდეგში, როდესაც ნ. მარის თეორიას ქართულ-სემიტური ენების ნათესაობაზე წყალი შეუდგა... ქართველი ტომების გადმოსახლების თეორიას კრიზისი დაუდგა. ასეთი ვითარების გამო ი. ჯავახიშვილი შეშფოთებული წერდა: „ხატე-

რებაში კი ზემოთაღნიშნულ შეხედულებას არცთუ მცირედი როლი აქვს შესრულებული.“

რეცენზენტი ვერაფერს ამბობს ა. ჩიქობავას დებულების დასაცავად, გარდა იმისა, რომ მხარს უჭერს ქართულ წა- და ჯანურ ნ- ზმნისწინა აფხაზურიდან მიმდინარეობის მტკიცებას. რისი თქმა გნებავთ ამით, ბატონო რეცენზენტი? იმისი ხომ არა, რომ დასავლეთ საქართველოს მიწაზე ქართველურ ტომებს მართლა წინ უსწრებდნენ აფხაზურ-ადიღური ტომები? (სხვაგვარად თქვენი მტკიცება წყლის ნაყვ იქნებოდა!). მაგრამ თქვენ ამას პირდაპირ ვერ ამბობთ! და მაშინ, ხომ არ აჯობებდა ამ საკითხების შესახებ მსჯელობაზე (და, საერთოდ, რეცენზისის დაწერაზე) ხელი აგდოთ?!

წა-(-წარ-) ქართულ ზმნისწინა სისტემის ორგანული ნაწილია და ის დასტურდება არა მხოლოდ

თმეცნიერს ვერ დავაბრალებთ იმის არცოდნას, რომ აქედან ერთადერთი, აბსოლუტურად უდავო დასკვნა გამოდინარეობს: ეს ნაწილიც კი ყველა ქართველურ ენაში მომდინარეობს საერთო-ქართველური ფუძე ენიდან და არა რომელიმე სხვა წყაროდან (არც ეს იცით, ბატონო რეცენზენტი!). სვან. — ნაწილია რატომღაც მაინც ადიღურიდან ნასესხებად გამოცხადდა. და კიდევ: თუ ის მაინცდამაინც ნასესხებია, რატომ არის ნასესხები ადიღურიდან და არა ქართულიდან? ამას ხომ პასუხი უნდა! როგორ დაივიწყოთ, რომ ასეთ საკითხებში ა. ჩიქობავა ვერ გაერკვა?!

2. შევადაროთ ერთმანეთს ა. ჩიქობავას მიერ წამოყენებული ორი ურთიერთგამომრიცხველი დებულება: 1. „მისი (სვანურის — ა. ო.) ერთ-ერთი ფენი რეცენზისის დაწერაზე, მეორე — ძველი ქართული სამწერლო ენის მონაწილე ერთ-ერთ დიალექტს, მესამე კიდევ —

**პოლემიკა**

**მართლაც, როგორ ვიბრკვიოთ სიბერისთვის!**

ბის... მუშეებისა და სხვათა ინოვაციური წარმოშობის დებულებების... საერთო აღიარებამ დასვა გადაუღებელ ამოცანად საქართველოსა და კავკასიის უძველესი პერიოდის ისტორიის სქემის სრულად გადასინჯვა“ (ქრე. „ივანე ჯავახიშვილი 100“, 1977, გვ. 21). ბატონო რეცენზენტი, თქვენ არაფერი ეს არ იცოდით? მაგრამ თუ იცოდით, მაშინ როგორ გგონიათ, ს. ჯანაშია, გ. მელიქიშვილი, გ. ჩიქობავა და თვითონ ი. ჯავახიშვილი შეურაცხყოფას აყენებდნენ ი. ჯავახიშვილს და მოლაპარტედ აცხადებდნენ მას?

განსაკუთრებით შემაშფოთებელი ის არის, როდესაც უფრო გამოცდილი ძაღლებიც ცდილობენ ი. ჯავახიშვილის სახელს ასე უსაფუძვლოდ ამოფარონ, „სხვაგვარად მოაზროვნებებს“ ათასგვარი იარაღი მიაკერონ და ამ გზით ხელოსანების წარმომადგენლებზე ახლანდელ დროშიც ძველბურად მოახდინონ გავლენა! ეს არის იმ ეპოქის მრავალბრუნადი, არცთუ სასახლო, ზეარების ჩვენს დროში გამოყენების ცდა, როდესაც ა. მანიძემაც კი, ქართული ენათმეცნიერების პატრიარქმა, ვერ შეძლო თავისი შენიშვნების გამოქვეყნება „ქართული ენის გამმარტებითი ლექსიკონის“ შესახებ (შენიშვნებისა, რომლებიც მათი ავტორის გარდაცვალებიდან სამაო ხნის შემდეგ თუ იხილავენ დღის სინათლეს).

ჩემს სტატიის ძირითადი მიზანი არის იმისი დასაბუთება, რომ ენობრივი მონაცემებიდან ობიექტურად ამოსვლის შემთხვევაში არ არის მისაღები ა. ჩიქობავას მიერ გაკეთებული დასკვნა, რომლის მიხედვითაც „დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ქართველურ ტომებს წინ უსწრებდნენ აფხაზურ-ადიღური ტომები“.

თავისთავად ცხადია, ამ პრინციპის გადწყვეტას არავითარი შენიშვნა არა აქვს აფხაზთა თანამედროვე სამშობლოს განსაზღვრისათვის; აფხაზები ცხოვრობდნენ თანამედროვე აფხაზეთის მიწაზე და ამას ვერაფერი შეეცვლას; მაგრამ უდიდესი შენიშვნაა აქვს იმის საჩვენებლად, არსებობს თუ არა ისტორიული საფუძველი ამ მიწის არაქართულად მიჩნევისა, მისი სხვა ხალხის კუთვნილებად გამოცხადებისა და ამის საფუძველზე ამავე მიწის საქართველოდან მოწყვეტის პრეტენზიისათვის! (ამ პრეტენზიის წარმოქმნა-დამკვიდ-

ქართული ენის დასავლურ დიალექტში, სადაც აფხაზურის გავლენა ვარაუდობენ, არამედ მთელს ქართულში; როგორც ძველში, ისე ახალში, როგორც სალიტერატურო ენაში, ისე უკლებლივ ყველა დიალექტში. მთავარი მაინც ის არის, რომ ქართ. წა-ს მეგრულ-ქანურში მოეპოვება კანონზომიერი შესატყვისი — წა-, რაც იმისი უტყუარი მაჩვენებელია, რომ ქართ. წა — ქართველური წარმომავლობის ზმნისწინაა და არა — აფხაზურიდან მომდინარე.

რეცენზენტი საქმეს ისე წარმოადგენს (თანაც ცინიკურად), თითქოს სადავო იყოს ჯანაშიის ზმნისწინის მე- და ნ- ვარიანტთა პოლიტიკური განაწილების მარტივად უმარტივესი საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც თითქოს ა. ონიანმა ა. ჩიქობავას მოპარა. სინამდვილეში სადავოა არა ეს განაწილება, არამედ ა. ჩიქობავას მიერ გაკეთებული დასკვნა, რომლის მიხედვითაც მე- ქართველური წარმომავლობის ზმნისწინა ნ- კი — აფხაზურიდან მომდინარე. ჩემს სტატიაში გაეცხადებოდა ამისი საწინააღმდეგო (ვეფხრობა, ერთადერთი შესაძლო) დასკვნა: ერთი ფუნქციის მქონე ერთი ზმნისწინის ორი სხვადასხვა პოლიტიკური ვარიანტი (მე- თანხმობის წინ, ნ- ხმობის წინ) ერთი ანონალური ფორმიდან არის მიღებული და არა — სხვადასხვა წყაროდან და, მაშასადამე, ნ-ც ისევეა ქართველური წარმომავლობის, როგორც მე- აი, ის იყო სადავო და არა ის, რასაც რეცენზენტი ონიანულად აცხადებს. რატომ ცდილობთ, ბატონო რეცენზენტი, მკითხველს ნაცარი მიყაროთ თვალში?!

რეცენზიაში პრინციპული მეცნიერული დავა შეცვლილია ერთადერთი მიზნით — ს. ჯანაშიას, ა. ჩიქობავას, ქ. ლომთათიძის თვალშია განსაკუთრებული გული-სწყრომას იწვევს ჩემი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც აფხაზეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთმიმართების შესახებ ამ მკვლევართა მიერ გაკეთებული დასკვნები არაობიექტურობა-ტენდენციურობით ხასიათდება. ვნახოთ ახლა მრავალთავან რამდენიმე ნიმუში იმის საჩვენებლად, შეიძლება თუ არა საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტა:

1. სვან. კითხვითობის — ნაწილაც აქვს კანონზომიერი შესატყვისები: ძვ. ქართ. — და მეგრ. — იეს ა. ჩიქობავასაც აღნიშნული აქვს. ვერც ერთ ნორმალურ ენა-

ადიღურს („იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, II, 1948, გვ. 272), 2. არ არის სწორი ნ. მარის დებულება, თითქოს ორი ენის შეჯვარდინებით წარმოქმნილი ზმნისწინა, ახალი, ენა, რომლის გვერდითაც თითქოს კვლავ განაგრძობდეს არსებობას შეჯვარდინებული ენები“ („ენათმეცნიერების შესავალი“, 1952, გვ. 98-99). შევადაროთ ახლა ამ მეორე დებულებას ამის შემდეგ ამავე წიგნში წამოყენებულ მოსაზრებას, რომელიც ისევე პირველ დებულებას იმარტობს: „სვანურის შემადგენლობაში გამოირჩევა ზანური ფენა, ადიღური (ჩერქეზული) ფენა, ძველი ქართულის დამახასიათებელი ერთი ფენა“ (იქვე, გვ. 367). როგორ დაივიწყოთ, რომ ცნობილი მეცნიერი ამ წინააღმდეგობებშიც ვერ გაერკვა?!

3. დასავლეთ საქართველოს მიწაზე, ქართველური ადრე აფხაზურ-ადიღური ტომების მოსახლეობის შესახებ დასკვნა გაკეთდა ადიღურად მიჩნეული მცირერიცხოვანი ტომონიმების საფუძველზე, მათი ქართველურ ტომონიმებზე უძველესობის დადგენის გარეშე. შეიძლება იყოს კიდევ ზოგი მათგანი ადიღურიდან მომდინარე (თუმცა ეს სათანადოდ დასაბუთებული არ არის), მაგრამ, თუ ამ გაგებიდან ამოვალთ, მაშინ საქართველოს ტერიტორიაზე ქართველებზე ადრე სხვა ხალხების (ვთქვათ, ბერძენების, თურქების...) მოსახლეობაც უნდა დაეუშვათ, რადგანაც აქ არსებობს ამ ხალხების ენათა ბაზაზე წარმოქმნილი ტომონიმებიც. მცდარმა მიდგომამ, როგორც ვხედავთ, აბსურდამდე მიგვიყვანა. ძველი წარმოსაღწერა, ასეთ უმარტივეს საკითხებში სახელგანთქმული მეცნიერები ვერ გარკვეულიყვნენ!

ამ და სხვა ამგვარი გაუგებრობების წარმოქმნის მიზეზად შეიძლება მიჩნეულიყო ან უპიცობა, ან ტენდენციურობა, მესამე შესაძლებლობა არ არსებობს. უპიცობის დაბრალება მე სახელგანთქმულ მეცნიერებს არ ვაკადრე, რომ მეკადრებინა, უსამართლობა იქნებოდა (თქვენ რას ფიქრობთ, ბატონო რეცენზენტი?). და მაშინ, რჩება მხოლოდ მეორე შესაძლებლობა — ტენდენციურობა, რასაც აფხაზებისაგან გადახრა მოჰყვა ქართველი ხალხის და მისი ისტორიის საზიანოდ. ეს სრულიად უე-

კველია. ამ გადახრის მიზეზის ძიება კი ჩემს მიზანს არ შეადგენდა.

რეცენზიაში სიმართლისა და ენის ინტერესები უყოყმანოდ ეწირება ცალკეულ მეცნიერთა ხელის დაფარების ინტერესებს. ვინაობით, მაგ., როგორი დემაგოგიური ზღბდა ქართულ ჟურნალებში საქართველოს ისტორიის საზიანო შრომების რუსულად გამოქვეყნების გამოთვლა: („როცა ვინმეს ეუბნები, ჩემი ძმა ხარო, იმ ენაზე უნდა უთხრა ეს სიტყვები, რომ მისთვის გასაგებია შეიქმნეს“) (სტილი, რა თქმა უნდა, აქაც ავტორისაა — ა. ო.). რატომ ტყუილად, ბატონო რეცენზენტი? წარმოუდგენოდა თქვენ ვერ ხედავდით, რომ აქ საქმე შეიგება არა მხოლოდ უბრალო გამოცხადებას, არამედ იმას, რომ ინტერესთა შრომებიც, რომლებშიც მოცემულია მტკიცება ქართულ მიწაზე ქართველებზე ადრე სხვა ხალხის ცხოვრების შესახებ, ქართულ ჟურნალებში, ქართული სტატიების გვერდით, რატომღაც რუსულად არის გამოქვეყნებული! ნუთუ თქვენ ეს არავითარ კითხვას არ აღგიძრავთ?! და კიდევ: თუ ეს ხალხი მართლა ჩვენს ძმად და უსხოვარი დროიდან ცხოვრობს ჩვენთან ერთად, მაშინ რატომ უნდა მივმართავდეთ მას არა მისივე „მისი“, არამედ — სხვა ხალხის ენაზე? სად არის აქ ლოგიკა?!

აი, ასეთი ავტორი თავს ნებას აძლევს, დასვას კითხვა: „რამდენად მართებულად მიანიჭა ბატონო რეცენზენტს (ა. ონიანს — ა. ო.) პოპულარულ გაზეთში ლინგვისტური ბაქტობის გამართვა — ეს ხომ მკითხველისათვის სათანადო მომზადებას, მოთხოვს“. აბსოლუტურად მართებულად მიმანიჭა, ბატონო რეცენზენტი; მართებულად მიმანიჭა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ამავე საკითხებზე ქართულ პოპულარულ პრესაში არაერთი ნაშრომი გამოქვეყნებული, მაგ., ქლომთათიძის სტატია, სადაც ავტორი თავგამოდებით იცავს აფხაზების ქართულ მიწაზე უხსოვარი დროიდან ცხოვრების თეზისს, დაბეჭდილია „მნათობში“ (1956 წ., № 12), შ. ინალ-იფას უზარმაზარი სტატია კი, სადაც იგივე მტკიცება მოცემულია, გამოქვეყნებულია გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიაში“ (1989 წ., 16. IX). ესეც არ იცით, ბატონო რეცენზენტი? ბოლოს და ბოლოს, თუ არაფერი იცით და ამას თვითონ ვერ ხედავთ, რამ მიგისპოთ ერთი გონიერი ბრჩეველი, რომელიც ასეთ საკითხთა შესახებ წერაზე ხელს აგდებდნენ: მე კი ყველაფერი ეს ვიცოდი და ამან განსაზღვრა ჩემი წერილის დაწერაც და მისი პოპულარულ გაზეთში გამოქვეყნებაც.

ბოლოს კი გადაჭრით უნდა ითქვას შემდეგი: ს. ჯანაშიასა და ა. ჩიქობავას, ცნობილი მეცნიერებს, განსაკუთრებით კი დიდ ივანე ჯავახიშვილს, მეცნიერული სინდისისა და მოქალაქეობრივი კეთილშობილების სიმბოლოს, არ ეკადრებოდა ისეთი დაცვა, სადაც მტკიცებული მეცნიერული პრინციპები მოგონილი საკითხებზე პრინციპული მსჯელობით არის შეცვლილი, სადაც პროვოკაცია და ტყუილის ქადაგება ჩვეულებრივი მოგონება (მაგ., ი. ჯავახიშვილის შეურაცხყოფისა და ჩერქეზულის აუგად მოხსენების დაბრალება...) და, სადაც ასეთ ენობრივ ლაფსუსებსაც კი ვხედავთ, როგორც არის თუნდაც „პუბლიკაციის გამოქვეყნება“.

აქვე უნდა ითქვას: სანამ არ გაეთავისუფლებოთ დოგმატიზმით ნაკარნახევი მავნე შეხედულებისაგან, რომლის მიხედვითაც ვისიმე მოსაზრების კრიტიკა მისი ავტორის მოლაპარტედ გამოცხადებას ნიშნავს, საწინააღმდეგო აზრის წამოყენება — მტრობას, მანამდე ვერ მივალწვეთ ვერაფერს, ვერც მეცნიერებაში და ვერც, საერთოდ, ეროვნულ საქმიანობაში.

# საერთაშორისო სკოლა-ბანაკი

„ავანგარდი“ — ასე ჰქვია ფიზიკა-მათემატიკის საკავშირო და უსწრებელი სწავლების სკოლას, რომლის ეგიდითაც ახლახანს ახალგაზრდალ ქალაქ „შავანბადაში“ სახეიმიდ გაიხსნა I საერთაშორისო კონფერენცია — ტურნირი ფიზიკა-მათემატიკისა და ინფორმატიკაში სკოლის მოსწავლეთა შორის.

— საკავშირო სკოლა „ავანგარდი“ 7000 მოსწავლეა — გვითხრა ამ სკოლის დირექტორმა გიორგი ფხოველიშვილმა, — სკოლა სამეურნეო ანგარიშზეა, მისი მიზნები მრავალფეროვანია, ერთ-ერთი კი სწორედ საზღვარგარეთის ქვეყნების სხვადასხვა ტიპის სკოლებთან კონტაქტები გახლავთ. ამ კონფერენციაში 80 მოსწავლე მონაწილეობს. ჩატარდება შეჯი-

ბრებები, ტურნირები. ქართველ მოსწავლესთან ერთად ტურნირში მონაწილეობენ პოლანდიელი, ინგლისელი, პოლონელი ახალგაზრდები.

ბევრი საინტერესო შეხვედრა უკვე შედგა, საბოლოო შედეგებზე საუბარი ჯერ ადრეა, მაგრამ სტუმრების აზრი, ვფიქრობთ, მკითხველსათვის საინტერესო იქნება:

**ლარიშუ ლიპინაიკი, პოლონელი მოსწავლე:** მიხარია, რომ ახალი მეგობრები შევიძინე, ტურნირის პროგრამა საინტერესოდაა შედგენილი, ნაყოფიერი მუშაობა და დასვენება ისე ერწყმის ერთმანეთს, რომ დალას ვერ ვგრძნობთ. ბედნიერებაა, რომ მომეცა თქვენს მშვენიერ ქვეყანაში. ჩამოსვლის საშუალება.

**უშულა ვოზნიკოვსკაია, ბა-ზაქი, პოლონეთის ახალგაზრდალი სასახლის მეცნიერული განყოფილების ხელმძღვანელი:** ჩვენს ჯგუფს „ფარკი“ ჰქვია, რაც ქართულად ელექტრონს ნიშნავს. ასეთი ტიპის შეხვედრებში ხშირად ვმონაწილეობთ. ეს ძალიან ამაღლებს ჩვენს ცოდნასა და ტექნიკას. ხელშეკრულება გვაქვს დადებული ქვეყნის რამდენიმე უნივერსიტეტთან, მათთან თანამშრომლობა მეტად ნაყოფიერია.

სასიამოვნოა, რომ პირველი საერთაშორისო კონფერენცია საქართველოში ტარდება, მართალი გითხრათ, ბევრი არა ვიცოდით რა თქვენს შესახებ: საქართველო მდიდარი ქვეყანაა, აქ კეთილი ხალხი ცხოვრობს აი, მთელი ჩვენი ინფორმაცია ამ დღეებში, ალბათ, უკეთ გავეცნობთ თქვენს ხალხს. გისურვებთ მშვიდობას და ბედნიერებას.

კონფერენცია მალე დამთავრდება, მაგრამ მეგობრობა და ნაყოფიერი კონტაქტები მის მონაწილეთა შორის მხოლოდ დაწყდა.

მარინა კვაპაძე



## სიტყვა „კარს მიღვა“ გეოგ ალაშიანზე

რასაკვირველია, ბევრია სათქმელი საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეცხლსახელწიფო დამსახურებულ ანსამბლ „რუსთაველი“, რომელსაც გამოჩენილი მუსიკოსი ანზორ ერქომაიშვილი ხელმძღვანელობს. მაგრამ ამჯერად არაფერს ვიტყვი ანსამბლის შემოქმედებზე, ხელწერასა თუ ტრადიციებზე, არ განვიხილავ ნიჟერი მომღერალთა და მოცეკვავეთა ხელოვნებას.

დღეს მინდა წარმოგიდგინოთ „კარს მიღვა“ გეოგ ერთი ადამიანი, რომელიც ანსამბლთანაა შეზრდილი და დღემდეა ზრუნავს მის კეთილდღეობაზე.

ეს გახლავთ ანსამბლ „რუსთაველი“ დირექტორი ალექსანდრე ლორთქიფანიძე, რომელსაც უაღრესად რთული და მნიშვნელოვანი ფუნქციები აკისრია მას ევალება 70-წევრიანი კოლექტივის მოვლა-პატრონობა, ანსამბლის საშინაო და საგარეო საქმეების მოგვარება, ორგანიზაციული, ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური თუ საწარმოო ამოცანების განხორციელება.

ალექსანდრე ლორთქიფანიძის სასაქმეოდ უნდა ითქვას, რომ იგი მაღალ დონეზე უზრუნველყოფს ანსამბლის სასიცოცხლო მოთხოვნილებებს, რაც ძალზე ძნელია ჩვენს მოუწყობელ, მუდმივი დეფიციტისა და ბიუროკრატიული სისტემის პირობებში.

ამ წინააღმდეგობების დაძლევაში მას ეხმარება დაუცხრომელი ენერჯია, ერთუზიანი, გამომგონებლობა, ორგანიზაციული ნიჭი და რაც მთავარია საქმის უდიდესი სიყვარული, რასაც ყოველ ნაბიჯზე ამჟღავნებს.

ამ იშვიათი თვისებების წყა-

ლობით ალექსანდრე ლორთქიფანიძე გახდა ანზორ ერქომაიშვილის ნდობით ალტერნატიული პირი, მისი მარჯვენა ხელი. ამ თანამშრომლობას 1981 წელს ჩაეყარა საფუძველი. ანზორ ერქომაიშვილმა მაშინ დანიშნა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მოცეკვავე ანსამბლ „რუსთაველი“ დირექტორად. როგორც ცხოვრებამ ცხადყო — არჩევანი სწორი აღმოჩნდა.

ალექსანდრე ლორთქიფანიძე ყველაფერს პატრიოტული გზნებით, პროფესიული მომთხოვნელობითა და გაქანებით აკეთებს. მას თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ ანსამბლ „რუსთაველი“ მენეჯერი. ამ სტატუსს იგი უპასუხებს შემოქმედებით საქმიანობაში წვდომითაც და საორგანიზაციო საქმეების მოგვარების ტექნიკითაც, შინაგანი კულტურითაც, პუნქტუალურობითაც, კორექტურობითაც, საჭირო კონტაქტების დამყარების უნარითაც.

მაინც, სად შეიძინა მან ეს ჩვევები? ისევ და ისევ ანსამბლ „რუსთაველი“, სადაც მოვიდა ქორეოგრაფიული სტუდიის დამთავრებისთანავე, ეს იყო 1974 წელს.

დღემდეა ადრე დაუკარგავს. ანსამბლში აგრძნობინებს მშობლიური სიბოძა და სიყვარული „რუსთაველი“ განვლო მან ზნეობრივი და პროფესიული წრეთობის სკოლა, რასაც სხვათაშორის, ხელს უწყობდა საგასტროლო ტურნეებიც, უცხოელ იმპრესარიოებთან საქმიანი შეხვედრებიც.

თანდათან გროვდება ახალგაზრდა დირექტორის ცოდნა — გამოცდილება, დღეს რომ სიკეთე მოაქვს ანსამბლ „რუსთაველს“ და ქართული ხალხური შემოქმედებისათვის.

მანანა ახმეტელი



## საფუძველი ჩაეყარა

პარაკევს, 24 აგვისტოს გლდანის რაიონში საფუძველი ჩაეყარა წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიას. მშენებლობა აკურთხა ქაშუეთის ეკლესიის წინამძღვარმა მამა ელიზბარმა.

## ქართული ხალხური მუსიკის პრესტიჟისათვის

ქართულმა ხალხურმა სიმღერამ მრავალსაუკუნოვანი გზა განვლო და შექმნა მრავალხმიანობის სხვადასხვა ფორმები. დანგვილი მუსიკალობა, ტექსტი ჩაიდებული ხალხური სიმღერები სიმღერების მსოფლიო კულტურის დონეზე აყენებს. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ დღემდე დროში ქართული ხალხური სიმღერის, მისი პროპაგანდას ჩვენში ნაკლებად ადგილი უჭირავს. ოჯახებში სულ უფრო და უფრო იკლო ხალხურმა სიმღერამ, მისი შესრულების სურვილმა, სამაგიეროდ, მაგნიტოფონებით ისმის ისეთი მუსიკა, რომლის მხატვრული ღირსება ყოველთვის ვერ დგას სათანადო დონეზე.

მაგნიტოფონების პოპულარობამ ხმის ჩაწერის ფართოდ დანერგვის ყოველნაირი პირობა შექმნა. ხმის ჩაწერა აპარატურა, რომელიც არც თუ შორეულ წარსულში მხოლოდ პროფესიონალებს ეკუთვნოდათ, ამჟამად ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა.

ფონოთექნიკის კატალოგებში საზღვარგარეთის ესტრადის ჩანაწერების დიდი უმრავლესობაში ქართულ ესტრადას მეტად მცირე წილი აქვს, კეშპირი ხალხურ რეპერტუარზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. იტალიური, ინგლისური, ფრანგული და სხვა სიმღერების ზღვაში ობლივირდა ჩართული ესტრადის სულ რამდენიმე სოლისტისა და ანსამბლის ჩანაწერები.

მომხმარებლები, რომლებსაც სურთ საოპერო ან სიმფონიური, კლასიკური, ქართული ფოლკლორული მუსიკალური ნაწარმოებების ჩანაწერების შექმნა, რბილად რომ ვთქვათ, „კანონგარეშად“ არიან მიჩნეულნი. უარით ისტუმრებენ იმათაც, ვისაც სურს შეავსოს სკულტური ფონოთექნიკის სარაჯი-შვილის, ნიკო ქუმსიაშვილის, სანდრო ინაშვილის, არტემ და ვლადიმერ ერქომაიშვილების, მარგო თედიაშვილის, გიორგი ბუღაძის, ტატიანა მახარაძის და ბევრი სხვა ქართველი შემსრულებლის სიმღერებით, სამაგიეროდ, ფართოდ გავრცელებული ისეთი მუსიკალური შენაბიჯებები, სადაც ხობა აქვს შესხმული ათასგვარ უხამსობას. ზოგიერთ სიმღერაში შეიჭრა ქუჩური რომანტიკაც, მოხდა ქართული სიმღერებისა და მათი ავტორების გაბაბულება.

გაუგებარია, რატომ, რისთვის ან ვისთვის არის საჭირო ასეთი ჩანაწერების გავრცელება. მით უმეტეს, რომ იგი საგნა როგორც საერთოდ, ისე დღევანდელი თვალსაზრისით, ყოველდღიური მონაწილეობა და გემოვნებით. თანამედროვე ადამიანი, ყოველი მოქალაქე, პარმონიული უნდა იყოს. უნდა შეეძლოს მშვენიერების შეგრძნება, იყოს განათლებული, ჰქონდეს მაღალი გემოვნება. როდესაც ადამიანი მშვენიერებას აღიქვამს, მშვენიერი ხდება თავად. ამიტომ, ასეთი მშვენიერების შექმნელიც და პროპაგანდისტიც პირადად უნდა იყოს ესთეტიკურად ყოველმხრივ შემკობილი ადამიანი.

ზემოთხსენებულ იაფფასიან და ადამიანდონის სიმღერებს კი დაქირავებული ვაი-მუსიკოსები — „დამკვეთები“ ასრულებენ. ვინ არიან ეს ეგრეთ წოდებული დამკვეთები? ესენი არიან გარკვეული მუსიკალური მონაცემების, მაგრამ საექვო გემოვნების მქონე შემთხვევითი პირები, რომლებიც ხშირად ერთსა და იმავე მელოდიზე თვითნებურად გამოგონილი სხვადასხვა ტექსტებით ასრულებენ „სიმღერებს“.

ალბათ, არავინ იქნება იმის წინააღმდეგი, რომ ის მდიდარი მუსიკალური მემკვიდრეობა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე შექმნა ქართველმა ხალხმა, გადაუმუდავებს სხვადასხვა მუსიკალური ჟანრების სახით, მაგრამ არ შეიძლება ისეთი ექსპერიმენტების გაზიარება, რომელსაც ადგილი აქვს დღევანდელ პირობებში: ინტელექტით შეზღუდული, სიუჟო „ნოვატორე-

ბი“ და ქართული მუსიკის თვითმარქვია „რეფორმატორები“ თვლიან, რომ თანამედროვე სიმღერის შესაქმნელად საჭიროა ძველი მუსიკალური ფორმის ახალი ტექსტული მასალით დატვირთვა. სიტყვიერი მასალა კი წინააღმდეგობაშია მუსიკასთან და ცხადია, ვერავითარი შემოქმედება ვერ მიიღება.

ტექსტი უნდა განისაზღვროს მუსიკის სტრუქტურით, მისი შინაგანი კანონზომიერებით. ამიტომ, სიმღერის შემსრულებელი უსათუოდ მუსიკოსი უნდა იყოს, ან ყოველ შემთხვევაში, კარგად იცნობდეს იმ მუსიკას, რომლის შესრულებასაც ამირებს.

სამწუხაროდ, ამ ექსპერიმენტებით მიღებული „მასალა“ დიდს პოპულარობით სარგებლობს პირველ რიგში მოსახლეობის იმ ნაწილში, სადაც ზნეობრივი დეფორმაცია შეინიშნება. საქმე იმ ზომამდეც მივიდა, რომ საზოგადოების ამ ნაწილზედ მოაზროვნე ნაწილმა ასეთი შენაბიჯები საკუთარ ცნობიერებაში ქართული ხალხური მუსიკის ეტალონად მიიჩნია.

ვაი მომღერლების მიერ შესრულებული მუსიკალური „ნაწარმოებების გავრცელებას ყველაზე მეტად ხელი შეუწყობს ხმის ჩაწერის საჭიროებაში ყოველდღიურად ავსებამ, შემთხვევით მოხვედრილმა ხალხმა, რომლებმაც თანამედროვე ტექნიკის განვითარების წყალობით, მაგნიტოფონის ექსპლუატაციის ელემენტარული ჩვევები შეიძინეს. ამათ კი გასაქანი მისცა ქართული ხალხური სიმღერების არასწორი ვარიანტების გავრცელებას, რაც საგრძობლად აქვეითებს ახალგაზრდობის ესთეტიკური აღ-

ზრდის სრულყოფასა და მუსიკალურ გემოვნებას.

ბევრს, ალბათ, ჰგონია, რომ თუ სიმღერის ტექსტი ლამაზ-გაინებით არ არის შემკობილი ან არ არის მასში სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების დამამტკიცებელი მოწოდებები, ომისა და აგრესიის პროპაგანდა, მაშინ სავსებით დასაშვებია ასეთი სიმღერების თავისუფალი გავრცელება, მათ გასაგონად უნდა ითქვას, რომ დღეს ქართული მუსიკის, სიმღერის სერიოზული დამფასებელი მსმენელი გვეკრება.

ქართული ხალხური სიმღერის გაფუხარების ამგვარ ტენდენციას დღემდე ვერავითარი უწყება ვერ უპირისპირდება. თუ არ ვცდები, არ არსებობს რაიმე ორგანო, რომელიც მთელ ამ „კამპანიაში“ საქმიან კრიტიკას და მკაცრ კონტროლს გაუწყვიდა. ალბათ, აუცილებელია, რომ ამ საქმეში ელტურის სამინისტრომ და საქართველოს მუსიკალურმა საზოგადოებამ გადამწყვეტი როლი ითამაშოს, პრინციპულად დასახონ ის გზები, რომლითაც წარმართება ქართული ხალხური მუსიკის პროპაგანდა მოსახლეობაში და შეიქმნება პირობები მისი ალორმინიზაციის, მისი დამკვიდრებისათვის. ახალგაზრდობა უნდა მიეჩვიოს ქართული სიმღერების მოსმენას, მით უფრო, რომ ბევრს ამის სათანადო სურვილი გაუჩნდა. ზღო შეუწყობს ქართული ახალგაზრდების მომზადებას ეროვნული ფესვებისა და ტრადიციებისავე.

გივი დუღუაშავა, საქართველოს ტელევიზიის ხმის რეჟისორი.



...სამშაბათს, 21 აპრილს, დილის სპორტულ ბაზაზე საფეხბურთო კლუბი „იბერიის“ მწიგნობრით მოაწყო შეხვედრა სპორტულ მწიგნობრებთან. საშუალოდ, ჩვენი ბავშვის წარმომადგენელი შეხვედრას არ დასწრებია. იბერიის კი მხოლოდ იმ ბავშვით, რომ იბერიის კლუბის ხელმძღვანელმა რამომდინაძემ არ ჩათვალა საპირი შეხვედრისათვის ჩვენი ბავშვების შესახებ (ანალოგიურ სიტუაციაში აღმოჩნდა მორა ახალგაზრდა ბავშვით — „მოდერნიზმის“). ამიტომაც სიტუაცია ვაძლავთ ამ შეხვედრის უშუალო თვითმხილველს, ჩვენს კლუბებს „ზარიბოსტოპადან“ უარსა ბავშვთა ქვეყანას.

თავიდანვე პირდაპირ ვთქვათ — ის, რაც დღეს ქართულ ფეხბურთში ხდება, არასოდეს მომხდარა, ანალოგ ჩვენი ფეხბურთის ისტორიაში ვერ მოვძებნით — საქართველოს უპირველესი და უსაყვარესი გუნდის ყოფნა-არყოფნის საკითხი დღეს. ცხადია, პირველ რიგში ეს იდეა მთავარ საკითხად პრეს-კონფერენციაზე, რომელიც ამას წინათ გაიმართა „იბერიის“ საწვრთნელ ბაზაზე. გახსოვთ, ალბათ, მიმდინარე წლის თებერვალში, როცა გადაწყვიდა ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობის საკითხი, ერთ-სულსავე არ ყოფილა. ნუ შევუდგებით იმის ჩამოთვლას, ვინ მომხრე იყო და ვინ წინააღმდეგი. ფაქტები ისეთია, რომ მაშინ იმ აზრმა გაიმარჯვა, რომ ქართული ფეხბურთი დამოუკიდებელი უნდა გახდეს — და იგი გახდა დამოუკიდებელი! როცა საფეხბურთო სამართლიანად ამბობდნენ, საქართველოში ფეხბურთი სპორტულ თამაშზე მეტად არის, ბევრს მხედველობიდან რჩება ის, რომ მრავალი წლის განმავლობაში ჩვენ მას ერთადერთი სახით — თბილისის „დინამოს“ სახით წარმოვიდგინდით. მდიდარი სპორტული ტრადიციების მქონე რესპუბლიკა პირველ რიგში თავისი წამყვანი საფეხბურთო გუნდით ამყარდა. და აი, ახლა ამ გუნდში უფრო სწორედ, სამეურნეო ანგარიშობაში კლუბმა „იბერიამ“ განგაში ატეხა. სახეზეა ყველა საამისო ნიშანი, რომ, ალბათ, სულ მალე ჩვენ დავეკარგავთ გუნდს, რომელიც ნახევარსაუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მთელი საქართველოს სიყვარული იყო. ნუ შეგვეშინდება მალაღობრობის სიტყვებისა, თუ ის სინამდვილე ასახავს. ყველაზე სამწიფო სიზმარშიც არ დავსწრებოდა გულშემატკივარს, თუ აქ, თბილისში, საყვარელი გუნდის ერთ-ერთ მატჩზე არც ერთი(!) ბოლო არ გაიყიდებოდა. ასეთი ვახალეთ რეაქცია თბილისის „იბერიის“ თამაშის დონეზე. ადვილია გუნდის თამაშის კლასის დაცემის მიზნით მატჩიარალიური სტამბოლების უქონლობაში ეჭვით. ვაცხვებით ძველია, ჩასწვდე პრობლემას უფრო ღრმად.

მედ იმით, რომ კლუბში არც ერთი წევრი აღარ ღრმად. თემურ ქეციაძე: იმ თბილისის მანძილზე, რაც თბილისის „დინამოში“ ვთამაშობ, ჯერ არასდროს არ აღმოვჩინე ასეთ სიტუაციას — როცა თბილისში მინდორზე გამოვდივარ, არ ვიცი, ვისთვის ვთამაშობ. არასდროს არ მომიბოძოვა ჩემთვის არც ბინა, არც მანქანა, არც ფული, მაგრამ მე ვიცი, რომ ვთამაშობ ადამიანებისათვის, რომლებიც გულშემატკივრები არიან. ჩემთვის ეს იყო უმადლესი ჯილდო. ახლა კი სტადიონზე სიჩუმეა და ეს სიჩუმე მკლავს მე. კახი ცხადია: „ძალიან გთხოვთ, რომ სწორად გაიგოთ. მე მთელი ცხოვრება დიდ ფეხბურთზე ვოცნებობდი და აი, მაშინ ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშისას გარკვეული პერსპექტივები გამოჩინდა, მაგრამ, ახლა ვატყობ, რომ ნელ-ნელა ჩემი კლასი ეცემა. არადა, მე პროფესიონალი ვარ და სეზონის შემდეგ, ალბათ, სხვა გუნდში გადავალ კიდევ. არა, არ გეგნობი, რომ რუსეთის რომელიმე გუნდში მივიღტვოდეთ მეც და ჩემი მეგობრებიც, უბრალოდ, იქიდან საზღვარგარეთში წასვლის უფრო მეტი შანსი გვაქვს...“ რევაზ მთელი: „მე ჯერ კიდევ თებერვალში ვამბობდი: ისტატობის სრულყოფის სტიმულს რომ დაკარგავ, ფეხბურთელები აღარ ითამაშებენ იმ ფეხბურთს, რომელიც გულშემატკივრებს ახარებს-მეჭრის და აი, შედეგად, ფეხბურთელები ისე არა თამაშობენ, როგორც შეუძლიათ, გულშემატკივრები კი შინ სხედან.“ მწარეა ამ სიტყვების მოსმენა,

მაგრამ, ყველაფერი წინ იყო თურმე. ტრაგიზმის სიღრმე მაშინ უფრო შევგრძენით, როცა გია გურუაშვილი წერტილი დასვა ყველაფერს — ისეთი საჭმის კეთებას, რომელიც არავის არა სჭირდება, სჯობს კოოპერატივში იმუშაოვო. ვფიქრობთ, კომენტარი არ არის საჭირო. შემაშფოთებელი იყო გოჩა ჩიქოვანის, გია ჯიშკარიანისა და სხვა ფეხბურთელების გამოსვლა. ერთადერთი გამოსვლა, რომელიც მცირე იმედი ჩავვისახა, იყო ჯემალ მიქელაძის — „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის: „გუნდი ყველა ვითარებაში უნდა შევიწარმოთ. ჩვენ უნდა ვართ კლავიკ და ვაფინანსოთ გუნდი. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისადმი წაყენებული პრეტენზიები ძალზე არსებითია ჩემპიონატის ორგანიზაციისა და მსაჯობის თვალსაზრისითაც, მაგრამ ეს ყველაფერი კერძო ამბებია. მთავარია, შევიწარ-

მადამ, ყველაფერი წინ იყო თურმე. ტრაგიზმის სიღრმე მაშინ უფრო შევგრძენით, როცა გია გურუაშვილი წერტილი დასვა ყველაფერს — ისეთი საჭმის კეთებას, რომელიც არავის არა სჭირდება, სჯობს კოოპერატივში იმუშაოვო. ვფიქრობთ, კომენტარი არ არის საჭირო. შემაშფოთებელი იყო გოჩა ჩიქოვანის, გია ჯიშკარიანისა და სხვა ფეხბურთელების გამოსვლა. ერთადერთი გამოსვლა, რომელიც მცირე იმედი ჩავვისახა, იყო ჯემალ მიქელაძის — „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის: „გუნდი ყველა ვითარებაში უნდა შევიწარმოთ. ჩვენ უნდა ვართ კლავიკ და ვაფინანსოთ გუნდი. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისადმი წაყენებული პრეტენზიები ძალზე არსებითია ჩემპიონატის ორგანიზაციისა და მსაჯობის თვალსაზრისითაც, მაგრამ ეს ყველაფერი კერძო ამბებია. მთავარია, შევიწარ-

ჩუნოთ გუნდი — ქართული ფეხბურთის ფლავმანი“. ამ აზრს ყველა დაეთანხმა იქ, მაგრამ როგორ უნდა გაკეთდეს ეს? ამბიციები, სხვათა აზრის მიუღებლობა — ეს ის არგუმენტები არაა, რომლებიც დაეხმარება დღეს ქართულ ფეხბურთს. პრეს-კონფერენციაზე მყოფ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებს — ალექსანდრე ჩივაძეს, რამაზ შენგელიას, ზურაბ პეტრიანიშვილს არავითარი კონსტრუქციული წინადადებები არ წამოუყენებიათ. სამწუხაროდ, ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალაძე შეხვედრას არ დასწრებია. მისი აზრი ახლა ბევრს აინტერესებს... როგორი გადაწყვეტილება უნდა ყოფილიყო მიღებული, ერთ-ერთი რამ ცხადია — სიტუაცია ფეთქებადია, ქართულ ფეხბურთს დღეს სპეციალისტთა დახმარება, შექმნილი სიტუაციის სერიოზული ანალიზი სჭირდება. განაჩენი მით უნდა გამოიტანონ.

პისტონის ღრამაა, პისტონის — ზეიმი

26 აგვისტოს გაზეთმა „იხვესტრამ“ (მანამდე კი „ზარია ვოსტოკამ“) გამოაქვეყნა წერილი თბილისის „იბერიის“ (ყოფილი „დინამოს“) საწვრთნელ ბაზაზე მოწყობილი კრების შესახებ. ვფიქრობ, ბევრმა გულშემატკივარმა წაიკითხა ეს სტატია და მეც არ მინდა ვრცლად ვილაპარაკო იმაზე, რაც მასშია აღნიშნული. ჩემი მიზანი სულაც არაა ვიკამათო იმ საკითხებზე, რომელთა განსჯა ჟურნალისტის კომპეტენციაში არ შედის, მაგრამ საოცარია ყოფილი დინამოელები ასეთი დამოკიდებულება საკუთარი ქვეყნის ჩემპიონატისადმი. ჩვენ გავხდით არაპროფესიონალო ამბიციების მსხვერპლი — თვლიან ფეხბურთელები, მწვრთნელები და ხელმძღვანელები. მე მესმის მათი, რადგან ძალიან ძნელია იმ პრივილეგიების დაკარგვა, რაც ამ გუნდს ჰქონდა. თბილისის „დინამოს“ ხომ ყველა ქართულ ფეხბურთთან აიგივებდა. წელს კი

უცებ აღმოჩნდა, რომ ქართული ფეხბურთი მარტო თბილისის ყოფილი „დინამო“ კი არა, გალის „მზიურიც“ ყოფილა, ზუგდიდის „ოლიმპიკ“, ოზურგეთის „მერცხალოც“, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, გორის, ლანჩხუთისა და სხვა ქალაქების გუნდებიც. წინათ საქართველოს ჩემპიონატის რეგიონში ის აღელვებდათ, თუ როგორ თამაშობდა თბილისის „დინამო“, ახლა კი ყველას თავისი გუნდი ჰყავს და, ბუნებრივია, ლანჩხუთელს „გურიის“ გამარჯვება უნდა, სამტრედიელს „სანავარდოსი“, რუსთაველს „გორდასი“ და ა. შ. როგორც „იხვესტრამში“ წერია, ყოფილი დინამოელები აღნიშნავენ, რომ მეტის მოთმენა აღარ შეუძლიათ, რადგან მსაყურებელი თბილისში აღარ დადის, არ ესწრება იგი „იბერიის“ გავლით თამაშებს. თბილისის სტადიონებზე რომ მსაყურებლები არ დადიან, ეს ჩვენც გვაწუხებს, მაგრამ რისთვის დაგვირდით ყოფილი „დინამო-

ელებს“ იმის თქმა, თითქოს „იბერიის“ გავლით თამაშებსაც არ ესწრებიან გულშემატკივრები? ეს ხომ მტკნარი სიტუაციაა. რაც მე ვნახე, „იბერიის“ თამაშებზე ანშლაგი იყო — რუსთაველი, ზუგდიდში, ხობში, თანამხრებში, თითქმის სავსე იყო ქუთაისის ცენტრალური სტადიონი. ყოფილი „დინამოელები“, ნება მიბოძეთ, არც იმაში დავეთანხმობ, რომ თქვენს ასეთ თამაშს მსაყურებელთა ნაკლებობა განაპირობებს, ვინაიდან როდესაც ჩემპიონატის გახსნის დღეს ეროვნული სტადიონის ტრიბუნები გადაქედილი იყო გულშემატკივრებით, სწორედ მაშინ ვერ ითამაშეთ ისე, როგორც თქვენს სახელსა და მდგომარეობას შეეფერებოდა. ჩვენი თამაშის კლასი დაეცა, რომ შემოგვტვირთო ცენტრალური გავითოდან, განა ორმოციოდღე დღე (ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობიდან ჩემპიონატის დაწყებამდე) რა დავემართათ ისეთი, რომ

თქვენზე სიტყვებით, ევროპის საკლუბო ტურნირებზე გავსოსათვის მებრძოლი გუნდი პირველ მატჩში საკუთარ მოედანზე ფოთის „კოლხეთთან“ დამარცხდით? ეროვნულ ჩემპიონატზე დაბალი დონის გუნდებია, რომ ვითქვამთ, სხვებთან თქვენს უპირატესობას რით ამტკიცებთ? წარსულში სახელმწიფოელები თბილისის „დინამო“ (ახლანდელი „იბერია“) ამჟამად ისეთივე გუნდია, როგორც „გურია“, „გორდა“, „ცხუმში“, „ლილა“ და სხვა, რადგან დღევანდელ და მომავალ საქართველოს ასე სჭირდება. სხვისი არა ვიცი, მაგრამ რაც „იხვესტრამში“ წერია, პირადად მე გულს მტკენს, რადგან ყველაფერთან ერთად, ეს ხდება მაშინ, როცა ჩვენს მაგალითზე, უკრაინაშიც სერიოზულად დაისვა დამოუკიდებელი ჩემპიონატის ჩატარების საკითხი, როცა ბელორუსის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა პროტესტით მიმართა საკავშირო ფედერაციის და ბელორუსების კატეგორიული ბოიკოტის გამოცხადებით კოლოსკოე იძულებულია 24 აგვისტოს „სოვეტსკი“ სპორტში“ მათ ბოლიში მოუხადოს. სამწუხაროდ, სწორედ ამ დროს თბილისის ყოფილი „დინამო“ აქ-

ყოფს კრებას და თითქმის ერთსულსავე კდილობს ეროვნულ ჩემპიონატს ჩრდილი მიაციუნს. ისე კი, ურიგო არ იქნებოდა, რომ ბ.ნ. ბ. ურიგაშვილს, „იხვესტრის“ საკუთარ კორესპონდენტს, ქართველი კაცის პოზიციიდან შეეხებდა საქმისათვის და ასე არ ეჩქარა ცენტრისათვის ამ კრების ანგარიშის წარდგენა, რადგან ერთი გუნდის პრეტენზიები არ უნდა მივიჩნიოთ ეროვნული ფეხბურთის ღრამად. ბატო ლახვიშვილი, გთხოვთ მონორარი გადაგიცხოთ ეროვნული ჩემპიონატის წინ შექმნილი სოხუმის „ცხუმის“ ანგარიშზე.

საბავშვო სოციალური ახალგაზრდა. Обществено - политическая молодежная газета «Ахалгазрда Иверელი»

ტელეფონები: მისაღები — 93-97-31; პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-58; წერილების განყოფილება — 99-00-49.

ბავშვთა გაგონის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

საქართველოს კ. ც. -ის სტამბა 380098, თბილისი-28, ზ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფეტურა წებით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის № 29 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15. Наш индекс 66400

რედაქტორი პარა პალარაივილი. რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი — 380098, შ. კოსტავას ქ. № 14.